რატომ უნდა წაიკითხო დღეს კნუტ ჰამსუნი

გიორგი გოკიელი

ჩემი წერილი განკუთვნილია, პირველ რიგში, იმ ახალგაზრდებისთვის, კნუტ ჰამსუნის ნაწარმოებები ჯერ რომ არ წაუკითხავთ და წინ ელოდებათ მისი უნიკალური სამყაროს აღმოჩენის ბედნიერება.

იკითხავთ, რატომ ავირჩიე მაინცდამაინც კნუტ ჰამსუნი? პასუხი პირადული და მარტივია: იმიტომ, რომ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყვარელი მწერალია, ვისი თითქმის ყველა წიგნი წაკითხული მაქვს და მინდა, სხვებსაც გავუზიარო ეს სიყვარული და აღტაცება, ახალგაზრდობაში რომ გამიჩნდა და მას მერე სულ თან მდევს: ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ჰამსუნის სხვადასხვა წიგნით ვიყავი გატაცებული, ამასთანავე, ყველა იმ ეტაპზე მოიძებნებოდა მისი რომელიმე ნაწარმოები, რომელიც ჩემს იმჟამინდელ განწყობას, სულისკვეთებას (და შეკითხვებსაც) პასუხობდა. არსებობენ დიადი მწერლები, რომლებიც განაცვიფრებენ თემებისა თუ სახეების მრავალფეროვნებით, სიღრმითა და მასშტაბურობით. ისინი საყოველთაოდ აღიარებული არიან; და არსებობენ საყვარელი მწერლები, რომლებიც იმიტომ გიყვარდება, რომ კითხვისას გიჩნდება განცდა, თითქოს ისინი პირადად გიცნობენ და სწორედ შენთვის წერენ, შენი ავტორები არიან. სწორედ ასეთია ჩემთვის კნუტ ჰამსუნი. პირველად მის ნაწარმოებებს დაახლოებით 16-17 წლის ასაკში გადავეყარე. მაშინ უცხოურ წიგნებს ძირითადად რუსულ ენაზე ვკითხულობდი, ვინაიდან ქართულ ენაზე უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანები ცოტა გვქონდა. ჰამსუნი რუსულადაც ცოტა იყო, უფრო სწორად, ცოტა იყო საბჭოთა პერიოდში, თორემ რევოლუციამდელ რუსეთში, 1910-იან წლებში, ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოდური, თანამედროვე უცხოელი ავტორი გახლდათ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი თხზულებების რამდენიმე სრული კრებული არ-

სებობდა. მე რაც თავიდან ჩამივარდა ხელში, იყო 1970 წელს გამოსული, შავყდიანი ორტომეული, რომელიც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა და ხელიდან ხელში ნათხოვრდებოდა, თანაც შეზღუდული ვადით: ორ კვირაში მას შემდეგი მკითხველი ელოდებოდა მოუთმენლად. ამ კრებულში შედიოდა ჰამსუნის ადრეულ წლებში შექმნილი ნეორომანტიკული ნაწარმოებები: რომანები „შიმშილი“, „მისტერიები“, „პანი“ და „ვიქტორია“, ასევე მოთხრობები. მანამდე გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წლის“ სამყაროთი მონუსხული და გაბრუებული დავდიოდი. ჰამსუნის ამ ნაწარმოებების წაკითხვისგან, მისი განუმეორებელი სამყაროსა და გმირების გაცნობისგან მიღებული შთაბეჭდილება კი იმხელა აღმოჩნდა, რომ სრულიად დამატყვევა და მას მერე, მიუხედავად იმისა, რომ ჰამსუნზე არანაკლები და ალბათ უფრო დიდი არაერთი მწერალი შემხვედრია, ის მაინც დღემდე ჩემს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყვარელ პროზაიკოსად რჩება. პირველი ორტომეულის მერე იყო ბუკინისტებსა თუ ბიბლიოთეკებში რუსეთის რევოლუციამდელ გამოცემებზე ნადირობისა და ძველი, რეფორმამდელი რუსული ალფაბეტით ამ ნაწარმოებების კითხვის ცოტა უცნაური, მაგრამ წარმტაცი პროცესი, შემდეგ მეგობრებთან განხილვა და შთაბეჭდილებების გაცვლა. იმ დროს მე და ჩემი მეგობარი, მხატვარი ირაკლი ფარჯიანი, ერთდროულად ვკითხულობდით ჰამსუნის წიგნებს. ირაკლიმ ერთი წელი აბასთუმანში გაატარა, სადაც ფილტვებს მკურნალობდა და ჩვენ ხშირი მიმოწერა გვქონდა. რამდენიმეჯერ ჰამსუნსაც შევეხეთ. 1985 წლის 2 თებერვალს გამოგზავნილ წერილში მწერს:



ირაკლი ფარჯიანი (1950-1991)

„ვიჯექი საბანში გახვეული, თოვდა და თოვდა და ვკითხულობდი „პანს“, როცა შენი წერილი მომართვეს. წუხელის დავამთავრე „პანი“. მართლაც მშვენიერი და თავისთავად, ალბათ, განუმეორებელი რამაა. აი, კაცმა უნდა თქვას, სტილი მაქვსო. ასეთი სტილი სხვასთან ჯერ არ მინახავს: რა სიმსუბუქით და საოცარი ჰაეროვანი ამოსუნთქვით წერს და ამ ყველაფერში რამხელა ადამიანურობა, სევდა, სიღრმე და კიდევ რამდენი რამე დევს. დილას კიდევ გადავიკითხე ადგილები. ეს ისეთი რამეა, რომლის წაკითხვა ხშირად მოგინდება ალბათ კაცს და განსაკუთრებით მოგინდება, რომ ხმამაღლა სხვას წაუკითხო და წაუკითხო. მერე თანაც მე აქ ნელ-ნელა შევიგრძენი ბუნება... (აღწერს ტყის ბილიკებით სეირნობას, ცხოველების ნაფეხურებს თოვლზე, ხის ფესვების მიერ ამოტანილ ქვებს, რომლებმაც მზის შუქი იხილეს, ფიჭვების ტოტების ჭრიალის ხმას, თოვას, მთვარეს ფიჭვების თავზე) მაშინ ხვდები, ვინ არიან ის იაპონელი თუ ჩინელი პოეტები, რომლებიც ერთი-ორი პწკარით ამბობენ ამას ყველაფერს. აი, ასეთ განცდებში ვარ და წარმოიდგინე, რამდენად ნაცნობი იქნებოდა გლანის განცდები ჩემთვის (რომან „პანის“ მთავარი გმირი. გ.გ.). გლანის სიკვდილიც რა საოცარია, არა? როგორი ახლობელია ამ დროისთვის ჩვენთვის და რამდენი რამე ვიცით უკვე მასზე. რამხელა გენიოსია მაინც ჰამსუნი – დაბოლოების როგორი ვარიანტი მოიგონა. და ალბათ დამეთანხმები, რომ ეს ნაწარმოები საოცრად საკუთარი ხდება შენთვის, შეიძლება იეჭვიანო კიდეც. და კიდევ – ამთავრებ წიგნებს, მოგწონს ძალიან და მაინც ეთხოვები, აი, გნახე, გაგიცანი და ახლა სხვასთან წავალო. პანს კი ვერასოდეს დაემშვიდობები. უბრალოდ, ვეუბნები ნახვამდის!..“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 2002, 1).

დავუბრუნდეთ სათაურს. რატომ უნდა წაიკითხო დღეს ჰამსუნი?

პირველ რიგში, თუ საინტერესო საკითხავ წიგნს ეძებ, რომელმაც გინდა, რომ გაგიტაცოს, ყოველდღიურობა დაგავიწყოს და წარმოსახვის ამგზნები ამბებისა და განცდების სამყაროში წაგიყვანოს, არ ინანებ, თუ წაიკითხავ მის ნებისმიერ რომანს, ასეთები კი ბევრი დაწერა ხანგრძლივი, ლამის სამოცწლიანი სამწერლო კარიერის მანძილზე: პირველი წიგნით, „შიმშილით“ (Sult, 1890) დაწყებული, ბოლო „დაბურული ბილიკებით“ (Paa gjengrodde Stier, 1949) დამთავრებული.







თუ ახალგაზრდა ხარ და რომანტიკულად შეყვარებული, მაშინ უნდა წაიკითხო „ვიქტორია“ (Victoria. En kjaerlighedshistorie, 1898), ერთ-ერთი ყველაზე უფრო ამაღელვებელი და გულში ჩამწვდომი, ტრაგიკული სასიყვარულო ამბავი, რაც კი ოდესმე დაწერილა. შესაძლოა, ის გოგოებს უფრო მოეწონოთ, ვიდრე ბიჭებს, თუმცა არა მგონია, ბიჭებმაც იოლად მოახერხონ ყელში მომდგარი ბურთის გადაყლაპვა ვიქტორიასგან იოჰანესისთვის მიძღვნილი ბოლო წერილის კითხვისას.

თუ რთულ და „ტოქსიკურ“ სასიყვარულო ურთიერთობაში იმყოფები, როცა ხან მეცხრე ცაზე ხარ, ხან კი გული ტკივილით გეწურება, მაშინ „მისტერიებსა“ (Mysterier, 1892) და „პანში“ (Pan, 1894) – პირველში – ნაგელისა და დაგნის, მეორეში კი – გლანისა და ედვარდას ამბივალენტური, ტკბილ-მწარე, სქესთა ბრძოლის ყველა ნიშნის შემცველი ვნებიანი ურთიერთობა გაგიტაცებს და შეიძლება საკუთარ გამოცდილებასთან მსგავსებებიც კი აღმოგაჩენინოს.

თუ თავი ხალხის მასიდან გამორჩეულ ინდივიდუალისტად და მეამბოხედ მიგაჩნია, მაშინ იმპულსური, არაპროგნოზირებადი და არტისტული ნაგელი, რომელიც ნორვეგიის ერთ მძინარე, პროვინციულ ზღვისპირა ქალაქში ჩადის და თავისი ექსცენტრიკული, დონკიხოტური ქმედებებით უპირისპირდება საზოგადოების ყალბ მორალს, თავმომწონეობასა და სნობიზმს, თავდაყირა აყენებს ქალაქის ცხოვრებას – შენი პერსონაჟია.





თუ ველური ბუნება გიყვარს, მასთან შეხება გაძლიერებს და შენთვის ინსპირაციის წყაროა, მაშინ „პანზე“ უკეთესი ნაწარმოები ძნელი წარმოსადგენია: გაიცნობ ლეიტენანტ გლანს, ყოფილ სამხედროს, რომელიც ცივილიზაციას გამოექცა, ტყის ქოხში დასახლდა თავის ძაღლთან, ეზოპესთან, ერთად და თავს ნადირობითა და თევზაობით ირჩენს. ის ეთაყვანება ბუნებას, როგორც ღვთაებას, საუბრობს თითოეულ ხესთან და ქვასთან, როგორც მეგობრებთან, რომლებიც დიდ საიდუმლოებას აზიარებენ; აქ, ბუნებასთან ჰარმონიაში, პოულობს გლანი სრულ თავისუფლებას და ხვდება თავის სიყვარულს.

თუ დარდიანობა დაგჩემდა, უკმაყოფილო ხარ შენი თავით, მომავალი ბუნდოვან ტერიტორიად წარმოგიდგენია და სინათლის სხივის გამოკრთომას ელოდები, მაშინ „შიმშილი“, ჰამსუნის პირველი და ნაწილობრივ ავტობიოგრაფიული წიგნი, ზედგამოჭრილი საკითხავია შენთვის; იმაზე უარეს დღეში ხომ ვერ ჩავარდები, ვიდრე ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერალია, რომელიც დაეხეტება ქრისტიანიის (ახლანდელი ოსლო) ქუჩებში, მშიერი და გათოშილი, ცდილობს გაცრეცილ ბლოკნოტში ნაწარმოებად აქციოს თავისი პოეტური ხილვები, მაგრამ მისი ერთადერთი ფანქარი გაილევა და ახლის საყიდლად ქურთუკის ღილების აჭრა და ლომბარდში დაგირავება უწევს. შენ კი თან დაჰყვები საჭმლის ძიებაში, მასთან ერთად ფიქრობ გამოსავალზე (თხრობა ხომ პირველ პირში მიდის) თანაუგრძნობ, გიხარია, თუ სადმე ფუნთუშას იშოვის და ბრაზდები, რომ ამ ფუნთუშას კი არ ჭამს, პირველივე მათხოვარ ქალს აძლევს. თუ სტატიაში ორ-სამ კრონს მიიღებს, დიდი ზეიმი გაქვს, მაგრამ რად გინდა?! ნაშიმშილარი კუჭი საჭმელს არ იღებს და უკან უშვებს. ამ ქომაგობაში მყოფს კი საკუთარი დარდი გავიწყდება...

თუ მეოცნებე და პოეტური ბუნების ადამიანი ხარ, თითოეულ ზემოჩამოთვლილ წიგნში იპოვი საზრდოს შენი ფანტაზიებისთვის. ის კი არა და, თუ დეტექტივებისა და მძაფრსიუჟეტიანი ნაწარმოებების მოყვარული ხარ, ჰამსუნი არც აქ გაგაწბილებს: მართალია, საკუთრივ დეტექტივებს და სათავგადასავლო ნაწარმოებებს არ წერდა, მაგრამ მისი რომანები უამრავი პატარ-პატარა საიდუმლოებითაა აღსავსე და თან სიუჟეტის აგების ისეთი ოსტატია, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბის განვითარებასაც კი სუნთქვაშეკრული ელოდები, როგორც რომელიმე დეტექტივის კვანძის გახსნას.

თუ ადამიანის ფსიქოლოგიაში ჩხრეკა გაინტერესებს, ჰამსუნი უხვი საზრდოთი მოგამარაგებს. ის ხომ ფსიქოლოგიური პროზის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატია. მან დოსტოევსკიზე თქვა:

„არავის გაურჩევია უფრო დეტალურად ადამიანის სულის რთული ფენომენები. დოსტოევსკის ფსიქოლოგიური ინტუიცია ერთგვარი ნათელმხილველობის ტოლფასია. ჩვენ არ გაგვაჩნია შესაფერისი საზომები მისი ღირებულების დასადგენად. ის მარტო დგას“.

ეს მოსაზრება თამამად შეიძლება მივუყენოთ თავად ჰამსუნს. მას აქვს თითქოს თანდაყოლილი ფსიქოლოგიური ინსტინქტი, რომელიც განავითარა უნარში, აჩვენოს თავისი გმირების შინაგანი სამყაროს მთელი სირთულე, სიღრმე და წინააღმდეგობები, შეგიყვანოს მათი სულების უშორეს, ყველაზე დაფარულ ხვეულებსა და კუნჭულებში და გადმოგცეს მათი ფიქრებისა თუ ემოციების უმცირესი, დახვეწილი მოძრაობები და ფერები. ერთ-ერთ ლიტერატურულ ნარკვევში ჰამსუნი თვითონ გამოკვეთს თავის ამოცანას:

„როგორც თანამედროვე ფსიქოლოგმა, მე შუქი უნდა მოვფინო სულს... გამოვიკვლიო მთელი სიგრძე-სიგანით, ყველა კუთხით, შევაღწიო ყველაზე საიდუმლო წიაღებში, ავაგო ჩემს ქინძისთავზე ყველაზე ამოუხსნელი გამოცანები და დავაკვირდე ჩემი ლუპით“.

ფიოდორ დოსტოევსკი (1821-1881)



ეს ყველაფერი ჰამსუნის შემოქმედების პირველივე, ე.წ. „ნეორომანტიკული ამბოხის“ პერიოდშივე შეგხვდებათ, რაც მისი სამწერლო კარიერის მხოლოდ დასაწყისია; ჰამსუნი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდა კიდევ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. შემდგომში მისი თხრობის სტილი უფრო რეალისტური, ერთი შეხედვით, სადა, დაწმენდილი და მშვიდი გახდა, თუმცა გარეგნული სიმშვიდის, ინტონაციური აუღელვებლობის მიღმა არ შენელებულა შინაგანი მოძრაობის ინტენსივობა, არ დაუკლია ვნებებისა და ემოციების სიმხურვალეს. ამ თვალსაზრისით, XX საუკუნეში დაწერილ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც დიდი თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მე გამოვყოფდი „დროის შვილებს“ (Børn av Tiden, 1913), ამბავს გაღარიბების გზაზე მდგარ არისტოკრატ ვილაც ჰოლმსენისა, მისი მოძულებული გერმანელი ცოლისა და ვაჭარ ჰოლმენგროსი, ახალი საუკუნით მოტანილი ცვლილებების ფონზე. ასევე – ტრილოგიას ყალთაბანდი და ფანტაზიორი, ბედისწერას აყოლილი ავგუსტის შესახებ: „მოხეტიალენი (Landstrykere, 1927), „ავგუსტი“ (August, 1930) და „ცხოვრება კი გრძელდება“ (Men Livet lever, 1930).

თუ ეპიკური და მონუმენტური თხრობა გიზიდავთ, ნუ გამოტოვებთ „მიწის ნაყოფს“ (Markens Grøde, 1917), ისაკისა და ინგერის – XX საუკუნის ადამისა და ევას – ლამის შესაქმისეულ ისტორიას, რომელშიც მწერალს 1920 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

და მაინც, ვფიქრობ, ჰამსუნისთვის ცენტრალური თემა სიყვარულია, რომელსაც იგი თითქმის ყველა რომანში ეხება. „სიყვარული ღმერთის პირველი სიტყვაა, პირველი აზრი, რომელიც მის გულში აკიაფდა. თქვა: იქმნას ნათელი! და იქმნა სიყვარული. და ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა, კარგი იყო და მას არაფრის გაუქმების სურვილი არ გასჩენია. და სიყვარული გახდა სამყაროს შემოქმედი და მბრძანებელი; მაგრამ მისი ყველა გზა სავსეა ყვავილებითა და სისხლით, ყვავილებით და სისხლით“, – ამბობს იოჰანესი, „ვიქტორიას“ გმირი. ჰამსუნი აღწერს სიყვარულს, როგორც სიცოცხლის ყოვლისმომცველ ძალას, თუმცა ის მისთვის თან ყოველთვის დრამაა, დრამა, რომელიც ეფუძნება სიყვარულის მისი კონცეფციის მთავარ კონფლიქტს: ერთი მხრივ, ჰამსუნი აღიარებს იდეალური, სრულყოფილი სიყვარულის იდეას და ეძებს მას და ამავე დროს იცის, რომ ვერასოდეს იპოვის, რადგან სიყვარულში ჰარმონია მიუღწეველია სქესთა მარადიული ბრძოლის გამო. მის არცერთ სასიყვარულო ამბავს არ აქვს ბედნიერი დასასრული. სასიყვარულო განცდები აცოცხლებს გმირის სულში ყველაზე საიდუმლოს, ინტიმურს, ამაღლებულს.

თუმცა, ამავე დროს, ეს განცდები წარმოშობენ გაუცნობიერებელ იმპულსებს და უბიძგებენ გმირებს მოულოდნელი, ზოგჯერ მდაბალი და მათთვისვე ამოუხსნელი საქციელისკენ. სისათუთესა და სიტკბოებას ცვლის ძლიერი ემოციური ქარიშხალი, რასაც თან ახლავს წყენა, ბრალდებები, ერთმანეთის გაგების უუნარობა, ტკივილი, გრძნობების ღრმად დამალვის სურვილი. ეს ყველაფერი ჰამსუნს აძლევს ნაყოფიერ მასალას სასიყვარულო დრამის ყველაზე დახვეწილი ნიუანსების საჩვენებლად. ადამიანის ინტიმური სამყარო აქ ჩნდება მთელი თავისი სისავსითა და ორიგინალობით, შუქ-ჩრდილთა სიმდიდრით. გლანისა და ედვარდას, ისევე, როგორც ნაგელისა და დაგნის, იოჰანესისა და ვიქტორიას ურთიერთობების ამბავში სიყვარული გადაუჭრელ კონფლიქტში შედის გმირების სიამაყესა და მგრძნობიარობასთან, საყვარელი ადამიანის სულსა და გულზე გაბატონების ეგოისტურ სურვილთან. ჰამსუნის ყველა ახალგაზრდა პერსონაჟი უკომპრომისოა თავის აკვიატებებში: მზად არის, უმალ უარი თქვას ბედნიერებაზე, ვიდრე დაკარგოს თავისუფალი ნება. და ეს არის ის, რაც ტრაგედიის წინაპირობად იქცევა ხოლმე. ჰამსუნი თავისი ოსტატობით ახერხებს იმას, რომ სიყვარული დაგანახოს სამყაროს მამოძრავებელ, დიად, შთამაგონებელ და დამათრობელი ტკბობის მომნიჭებელ და, იმავდროულად, დამანგრეველ, მტანჯველ და დასაღუპად განწირულ ძალად.

ახლა ვიგრძენი, რომ სიყვარულის შესახებ ჰამსუნის შეხედულებაზე მსჯელობისას ჩემი ტექსტის ტონმაც ცოტათი აიწია, თითქოს უფრო ემოციური ჟღერადობა მიიღო. ეს ამბავი, ალბათ, თვითონ ჰამსუნის სიყვარულის თემაზე შექმნილი ნაწარმოებების მაღალი ტემპერატურისა და მღელვარე ინტონაციის გავლენითაა განპირობებული, რაც მკითხველშიც ეიფორიულ განწყობას ბადებს. კიდევ იმიტომ, რომ ჰამსუნი პოეტია (ლექსების ავტორს არ ვგულისხმობ, თუმცა ერთი პოეტური კრებულიც აქვს გამოცემული – „ველური ქორო“ (Det vilde Kor, 1904). იმის თქმა მინდოდა, რომ მისი პროზა ძალიან პოეტურია, რომელი პერიოდიც უნდა ავიღოთ, „რომანტიკული ამბოხისა“ თუ „ახალი რეალიზმისა“). პოეზიაზე მშრალად და უემოციოდ წერა კი საკმაოდ რთულია... და გამახსენდა კიდევ ის დრო, როცა მის წიგნებს პირველად ვეცნობოდი და რა ძნელი იყო აუღელვებლად მისი კითხვა.

წესით, კნუტ ჰამსუნი ნორვეგიელთა საამაყო მწერალი უნდა იყოს, ვინაიდან მისი დონის ავტორი ქვეყანას სხვა არ ჰყავს. ნორვეგია ამაყობს თავისი „დიდი ოთხეულით“ – პოეტ-დრამატურგ ჰენრიკ იბსენით (1828-1906), პროზაიკოს და დრამატურგ ბიერნსტიერნე ბიერნსონით (1832-1910) – პირველი ნორვეგიელით, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა; პოეტ-დრამატურგ იუნას ლითი (1833-1908) და

სატირიკოს ალექსანდრ კიელანდით (1849-1906), მაგრამ – არა მათი უმცროსი თანამედროვე კნუტ ჰამსუნით, რომელიც ქვეყნის უპირველესი რომანისტია. პირიქით, ბევრს ნორვეგიაში დღემდე ერცხვინება მისი, თუ ჰამსუნზე დაელაპარაკები, შეიშმუშნებიან და გეტყვიან: „კი, დიდი მწერალია, დიდი მხატვარია, მაგრამ ფაშისტია“. და ამის მიზეზი კნუტ ჰამსუნის მოხუცებულობის წლების ერთი ეპიზოდია, რომელიც მას არ აპატიეს. მაგრამ სანამ ამ გარემოებებს მივადგებოდეთ, მოკლედ შევეხოთ მის პიროვნებას და ცხოვრების პერიპეტიებს.

ახოვანი, ლამაზი კაცი ყოფილა. იოჰანეს იენსენი, დანიელი მწერალი, ასევე ნობელიანტი, ასე ხატავს მის შემოჭრას სკანდინავიის ლიტერატურულ სამყაროში: „სადღაც, ნორვეგიის ჩრდილოეთით, საჭირო გახდა კლდის აფეთქება სარკინიგზო ხაზის გასაყვანად და როცა აფეთქების ხმა მიჩუმდა, კვამლსა და ქვების წვიმაში გამოჩნდა გოლიათი, მთის ჩამოშლის გამო ოდესღაც ნაპრალში ჩაკეტილი და ახლა გათავისუფლებული. ეს იყო კნუტ ჰამსუნი“. გასაკვირია, რომ ასეთ დახვეწილ მწერალს და ინტელექტუალს თითქმის არანაირი ფორმალური განათლება არ მიუღია, სასკოლო რამდენიმე კლასის გარდა. ღარიბი მკერავის ოჯახში დაიბადა, 9 წლისა ბიძას მიაბარეს, რომელიც სცემდა და აშიმშილებდა. ბიძას გამოექცა და მას მერე სულ მუშაობა უწევდა, ლუკმაპური რომ ეშოვა. რად აღარ უმუშავია: მოხეტიალე მეწვრილმანედ, მეწაღის შეგირდად, სასამართლოს შერიფის მოადგილედ, გზის მუშად. ორჯერ იყო ამერიკაში, სადაც მუშაობდა ფერმის მუშად ვისკონსინში, ნორვეგიელი მქადაგებლის მდივნად მინესოტაში, ტრამვაის კონდუქტორად ჩიკაგოში და ყანის მუშად ჩრდილოეთ დაკოტაში. სწორედ ეს ხეტიალის წლები გამოდგა მისთვის ცხოვრების სკოლად. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მის მთავარ საქმიანობად ლიტერატურა იქცევა.

თავისი შეხედულებებით ჰამსუნი კონსერვატორი და მზარდი ინდუსტრიალიზაციისა და მისი მოტანილი ახალი ცხოვრების წესის მოწინააღმდეგე იყო. მას სძულდა ბრიტანეთი და ამერიკა და ძალიან უყვარდა გერმანია, ვინაიდან გერმანიას იგი ძველი, ტრადიციული, გლეხური ფესვების დამცველად მიიჩნევდა, ამერიკასა და ბრიტანეთს კი – ყველა ბოროტების წყაროდ. ის წერდა, რომ ამერიკას არ აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს სულიერი ცხოვრება, რომ მანქანების გრიალმა და გუგუნმა მოსპო ამერიკულ საზოგადოებაში კულტურული მეხსიერება. ჰამსუნი მთელი ცხოვრება ძლიერი პიროვნების ძიებაში იყო და თუ სადმე ეგულებოდა, ეს გერმანია იყო, მისი სათაყვანებელი ნიცშეს ქვეყანა. ყოველივე ამის გამო ჰამსუნმა ღიად დაუჭირა მხარი კვისლინგის მთავრობას ნორვეგიაში და ნაცისტებს – გერმანიაში. 1943 წელს შეხვდა გებელსსა და ჰიტლერს. 1947 წელს ჰამსუნი გაასამართლეს, „ქვეყნის მოღალატედ“ შერაცხეს და 425 000 ნორვეგიული კრონის ოდენობის ჯარიმა მიუსაჯეს. თუმცა ციხეს გადაურჩა „ასაკობრივი გონებრივი დეგრადაციის“ საფუძველზე. ეს ამბები

ჰამსუნმა აღწერა თავის ბოლო წიგნში „დაბურული ბილიკებით“ ("På gjengrodde stier", 1949) ყველასგან მოძულებული და მიტოვებული მწერალი 1952 წელს გარდაიცვალა თავის ოთახში, ნორჰოლმში.

„ნორვეგიული ფიორდების შვილს“ (როგორც კლიშეების მოყვარულები ეძახიან) ქართულ მიწაზეც დაუდგამს ფეხი და ამ მოგზაურობამ საკმაო ასახვა ჰპოვა მის შემოქმედებაში (დანანებით უნდა შევნიშნო, რომ ქართულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ყველაზე სუსტი გამოდგა მის ნაწერებს შორის). ჰამსუნის სახელი ქართულ პრესაში უკვე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ახსენეს. გაზეთ „ივერიაში“ 1900 წელს დაიბეჭდა მისი ორი მოთხრობა; პირველი წიგნი ქართულ ენაზე კი 1913 წელს გამოიცა რომანი „ვიქტორია“ (ი. აგლაძის თარგმანით).

1899 წლის სექტემბერში ევროპაში უკვე სახელგანთქმულმა მწერალმა მიიღო ნორვეგიის გეოგრაფიული საზოგადოების სტიპენდია და ცოლთან ერთად გამოემგზავრა კავკასიაში. ფინეთის გავლით სანქტ-პეტერბურგში ჩააღწია, იქიდან რკინიგზით – მოსკოვში, შემდეგ კი – ვლადიკავკაზში; იქ მეეტლეს მოურიგდა და საქართველოს სამხედრო გზით შემოვიდა ტფილისში, შემდეგ კი ბათუმი და ბაქოც მოინახულა. ეს მოგზაურობა მან აღწერა წიგნში, სათაურით „ზღაპრულ მხარეში“. თავისი ჟანრით ეს არის მოგზაურის ჩანაწერები – თანმიმდევრული აღ-



მეუღლესთან ერთად

წერა იმ ყველაფრისა, რაც ავტორმა გზაში გამოიარა, ნახა და განიცადა. წიგნი ძალიან ცოცხლადაა დაწერილი, სავსეა საინტერესო დაკვირვებებითა და დეტალებით კავკასიის მთების, თბილისისა თუ დასავლეთ საქართველოს ბუნებისა და გზაში ნანახი და გაცნობილი ადამიანების შესახებ. ჰამსუნის ნარატივი უაღრესად სუბიექტურია და ვერც ადგილობრივი ისტორიისა თუ

კნუტ ჰამსუნი და იოზეფ გებელსი

გეოგრაფიის დიდ მცოდნედ მოჩანს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც თვითონ ამბობს, არცთუ ცუდად მომზადებულა წამოსვლის წინ. წიგნში უამრავი ფაქტობრივი შეცდომაა, როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული. ეს კი ალბათ იმიტომ მოხდა, რომ ჰამსუნმა ინკოგნიტოდ იმოგზაურა და საქართველოში ყოფნისას არ შეხვედრია არც ერთ ერუდირებულ ადამიანს, რომელსაც შეეძლო მისთვის სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა ქვეყნის წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ჰამსუნი აღფრთოვანებულია კავკასიონის მთებით, დასავლეთ საქართველოს ბუნებით, მაგრამ არ მოსწონს ტფილისი, ერთი ადგილის გარდა, რომელსაც აზიურ კუთხეს უწოდებს, სადაც ის ყოველდღე მიდიოდა სასტუმრო „ლონდონიდან“ (ამ შენობაზე, რომელიც დღესაც დგას „მშრალი ხიდის“ დასაწყისში, გვაქვს ჰამსუნის ვიზიტის აღმნიშვნელი თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა) და „იქ ყოფნით ვერ ძღებოდა“. ბუნების გარდა, ჰამსუნი აღწერს ადამიანთა ტიპაჟებსა და სცენებს, რომლებსაც გზადაგზა ხვდება: თავის ყბედ რუს მეეტლეს, მწყემსებს, თავისი სასტუმროს კარისკაცს, ტფილისის ბაზრის გამყიდველებს, სხვა შემთხვევით შემხვედრ ადამიანებს; ჰყვება თავის უცნაურ თავგადასავლებზეც, თუ როგორ მოკვდა ცხენი, რომელსაც ისინი ვლადიკავკაზიდან მოჰყავდა და შემდეგ როგორ შეგროვდა მთიელთა ჯგუფი ღამით ამ ცხენის ლეშის გარშემო, როგორ აქნეს და ველური ღრეობა მოაწყვეს. გენდერულ საკითხებზე ყურადღებაგამახვილებულ დღევანდელ მკითხველს თვალში მოხვდება, რომ ჰამსუნი არასოდეს ახსენებს თავის ცოლს, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან თან ახლავს; სრული შთაბეჭდილება გრჩება, რომ ის მარტო მოგზაურობს.



საქართველომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნორვეგიელ მწერალზე და სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაწერა პიესა „დედოფალი თამარი“. ამ ნაწარმოების გამოჩენის ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართულ პრესაში. 1903-1904 წლებში გაზეთები „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ აქვეყნებდნენ ცნობებს ამ პიესის შექმნისა და სცენაზე დადგმის შესახებ. საბოლოოდ, 1904 წელს, „ცნობის ფურცლის“ ორ ნომერში დაიბეჭდა ორი დიდი სტატია, რომელთაგან ერთში დეტალურად იყო აღწერილი პიესის შინაარსი, მეორეში კი – მისი ანალიზი.

1904 წელს „დედოფალი თამარი“ დაიდგა ქრისტიანიაში (ოსლო) და წარმატებას მიაღწია. 1907 წელს პიესის რუსული თარგმანი წარდგენილ იქნა პეტერბურგში, შემდეგ – მოსკოვში, 1908 წელს კი – ტფილისში.

სასტუმრო „ლონდონი“





ჰამსუნისთვის კავკასია ასოცირდება უძველეს მითებთან, ასევე წარსული დროის სხვადასხვა კულტურასთან. კავკასია „კაცობრიობის აკვანია, აქ პრომეთე კლდეს მიაჯაჭვეს“, – წერს იგი.

ჰამსუნის წიგნი განსაკუთრებით მიმზიდველია, რადგან მასში იგრძნობა ავტორის დიდი ინტერესი ყველაფრის მიმართ, რაც მან გზაში ნახა. ენთუზიაზმით გადმოგვცემს შთაბეჭდილებებს დასავლეთ საქართველოზე, რომელსაც ბათუმისკენ მიმავალი გადაკვეთს:

სამოგზაურო ჩანაწერებში აისახა ჰამსუნის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნები – ბუნების განცდა და ადამიანის კავშირი მის გარშემო არსებულ პირველყოფილ სამყაროსთან. საინტერესო დაკვირვებები და შეფასებები, ბუნების ღრმა შეგრძნება, სამყაროს სილამაზით აღფრთოვანება, სითბო და გულწრფელობა, რაც წიგნში იგრძნობა, მას მიმზიდველს ხდის თანამედროვე მკითხველისთვისაც.

ჰამსუნის მოგზაურობის შთაბეჭდილებები მშვენივრად არის შეჯამებული წიგნის ბოლო სიტყვებში: „მალე გავემგზავრებით ამ ქვეყნიდან, მაგრამ ყოველთვის ვინატრებ აქ დაბრუნებას, მე ხომ მტკვრის წყალი დამილევია“.

„ჩვენ მანქანით გავდივართ კავკასიის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ მხარეში. მცენარეულობა ისეთი მდიდარია, როგორიც არსად მინახავს. ტყეები, როგორც ჩანს, გაუვალია, ფანჯრიდან ვუყურებთ შეუდარებელ, ღვთისგან კურთხეულ ქვეყანას; ის ისეთი მდიდარი და ლამაზია, ჩვენ კი წილად გვერგო მისი ნახვა“.

Knut Hamsun



ედვარდ მუნკის დახატული კნუტ ჰამსუნის პორტრეტი